სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/45

ქ. თბილისი

7 დეკემბერი 2020

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის“ გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 1-ელი დეკემბრის №01-05-04/208 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 7 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 სექტემბრის №312 დადგენილება „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის შემოღების შესახებ“ და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესი“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**